№ 108
სამშაბათი, 25 მაისი, 1899 წ.

ბაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 108
სამშაბათი, 25 მაისი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

გაზეთი „ივერია“ პირველ მაისიდგან წლის დამლევამდე ღირება 7 მან. 25 კაპ.

კნეინა ქეთევან და კნეაჟნა ელენე შალვას ასულნი და თავადნი ალექსანდრე, მიხეილ და შალვა რევაზის ძენი ერისთავნი, კნეინა ანასტასია რევაზის ასული ამილახვრისა, კნეაჟნა ეკატერინე რევაზის ასული ერისთავისა და კნეინა ელისაბედ რევაზის ასული ბარათაშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველნი საყვარელის ძმისას და დანაშთენნი ძვირფასის მამისას

**გვარდიის პოლკოვნიკის თ. რევაზ შალვას ძის ერისთავისას.**

გვამს გაასვენებენ ს. კარალეთიდგან 28 მაისს ქ. გორის საკათედრო ტაძარში, სადაც იქმნება მისი დაკრძალვა. (2—72—1)

ოთხშაბათს, 26 მაისს,

ძმათა ნიკიტინების ცირკში გამართულ იქმნება მესამე და უკანასკნელი

**კონცერტი**

სლავიანსკისა, იმის ქალის მარგარიტა დიმიტრის ასულის სლავიანსკისა და რუსულ საერო გუნდის მონაწილეობით.

პროგრამმა კონცერტისა ახალია.

პუშკინის ასის წლის იუბილეის გამო კონცერტის დაწყებისას კაპელლა შეასრულებს საგალობელს, პუშკინის სახსოვრად შედგენილს ოლგა ქრისტეფორეს ასულის აუხნევა-სლავიანსკის მიერ.

დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

ბილეთები ცირკში იყიდება. (1—71—1).

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროთერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი $6^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіанъ*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ.)

**„ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“** გამგე კომიტეტი აუწყებს ამა საზოგადოების წევრთ, რომ **წლიური საზოგადო კრება წევრთა** დანიშნულია ამ წლის 30 მაისს, საღამოს 7 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში.

განსახილველია:

1) ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1898 წ.

2) სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შემოსავალ-გასავლისა 1899 წლისათვის.

3) გამგე კომიტეტის მოხსენება ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში მსახურთათვის საპენსიო კასის წესდების შესახებ.

4) მოხსენება ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისათვის სადგურის აშენების შესახებ.

და 5) სხვა-და სხვა თხოვნა და წვრილმანი საგნები. (5—უ.—4)

დაიბეჭდა და იყიდება

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

თხზულებანი

**ა. ს. პუშკინისა**

ფასი 50 კაპ.

## მთავრობის განკარგულებანი.

ებოძათ: ნადვორნი სოვეტნიკობა წალენჯიხის მომრიგებელ სასამართლოს ბოქაულს გაბეჩიას; ტიტულიარნი სოვეტნიკობა ქუთაისის ოლქის სასამართლოს მდივნის თანაშემწეს ხამაშურიძეს; კოლეჟსკი სეკრეტრობა—ზუგდიდის მომრიგებელ სასამართლოს მდივანს დარასელიას და მისს თანაშემწეს ანჯაფარიძეს; გუბერნსკი სეკრეტრობა ბაქოს ოლქის სასამართლოს მდივნის თანაშემწეს ჭავჭანიძეს და ქუთაისის ოლქის სასამართლოს საკანცელარიო მოხელეს კიკვაძეს.

## შემოწირულება

„ქ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გამართულ ბაზრობას შემოსწირეს:

დონერ-ლეიცმა—მშვენიერი სუფრა, სამი ბალიშის გადასაფარებელი, სამი ლამფის დასადგმელი, გალსტუკები, წინდები და სხვა და სხვა წვრილმანი ნივთი.

ქ-ნმა მარიმ—მშვენიერი ძვირფასი თეთრი შლიაპა.

პავლე ივანესძე გურგენოვმა—სხვა და სხვა ტკბილეულობა და სარდინკები.

მიხეილ დავითისძე ჯანჯულაზოვმა—სხვა და სხვა წვრილმანი ნივთი.

ანასტასია ბეჟანბეგოვისამ—ხუთი რამკა სურათებისათვის, ნაკერი ჩაის ტილო და ხილის სალფეტკები.

ნიკოლოოზ ივანეს ძე ვაჟაკაშვილმა—10 ბოთლი ღვინო.

ნიკო გვარამაძემ—ერთი ყვავილების ვაზა, ორი ბროლის თეფში ხილისათვის.

# ფელეტონი

## „უნდა მოვახსენო რამე“...

(სურათი სოფლის ცხოვრებიდგან)

### I

ტურათ-ხევის მდინარეს, რომელიც სოფელ კაკაბეთს ჩრდილოეთით ჩამოუდის, თავი მოუგიჟიანებია. სხვა დროს წყნარად, აღუშფოთებლად მიმდინარე, ახლა აჩქარებით მიჰყეფს, თავ-დავიწყებით მიშხუის და ერთი ღრიანცელი, ალიაქოთი აქვს. თებერვლის მზის თბილ სხივებს წინა კვირაში მოსული თოვლი გაუდნია და ამიტომ მთის კალთებიდგანაც ჩუხჩუხით ჩამონადენ წყლის ნაკადულნი უფრესად აცოფებენ, აბობოქრებენ ხევის მდინარეს. გამოჯავრებული, ბრაზმორეული ჰიჭყვირის იგი და ჰლამის ჩვეულებრივ ბუდე-კალაპოტიდგან გადმოვარდნას. ხმაურდა ხევის სიდამო, გამოფხიზლდა, ძილისაგან დასიებული თვალები აჭყიტა, მოიფშვნიტა და გაკოჩავიწებული შუბლი მდინარის წვეთებით მოინამა, ისხურა. გულზედ მოეშვა, საამო ლხენა იგრძნო, გულმაც გმირულად დაუწყო ტოკვა-ცემა; ბოლო მოეღო ხავს მოკიდებულ, მდორე გაუხარელ ცხოვრებას, სად წუთიერადაც არ ანათებდა ბრწყინვალე მზე, შუქი სიამოვნებისა. მაგრამ აი, მზემ გადაიწვერა, დაჰბერა სუსხიანმა ნიავმა, ხევის მდინარემ იკლო, ხმა ჩაიკმინდა და ის არე-მარეც გაყუჩდა განაბა.

ისაკო კაკოლაშვილი, რომლის პატარა ფიცრული სახლი მაღალ ფერდოზედ მიკუჭულა, დერეფნიდგან გადმოსცქერის ხევს და ათასს ფიქრში გახვეული მწარედ დაღონებულა. ისაკო ოც-და ცხრა წლისა თუ იქნებოდა, მაგრამ პატარაობაშივე დაობლებამ და იმ დროიდგანვე მოყოლებულმა სხვათა შვილობამ, შემდეგ დაწვრილშვილებამ სიცოცხლით სავსე კაცი მოჰქანცა, სიჩხინტე, არაქათი გამოაცალა. ამისს შავის წვერ-ულვაშით შემოსილს, ნაყვავილარს პირის კანს სიყვითლე მეჰპარვია, ნაავადმყოფარი ელფერი დასტყობია. ყმაწვილობიდგან მოკიდებული ისაკო სულ ამ ტანჯვაშია. ათასში ერთხელ თუ ახსოვს მხიარულობით განვლილი დღე, ისიც ჯეილურის დარდიმანდობის წყალობით, თორემ ნიადაგ დღე მოჯამაგირეობა, ისიც ვალში, ვის არ გაუტეხავს გულს, დაასახიჩრებს საბოლოოდ. არა, ისაკო არ დალაჩრებულა, იგი იმედებით შესცქერის მომავალს. როგორც იყო, რის წვალებით ამ ექვსის წლის წინად მოიმორა დედ-მამისაგან ვალად აღებული და მათ სამარხად დახარჯული ფული. ისაკო ჰფიქრობდა, ეხლა-კი თავისუფლად ამოვისუნთქებ, მივდგებ-მოვდგები, ორიოდე გროშს ვიშოვნი და მერე დავცოლშვილდებიო, მაგრამ იმ წელსვე ერთ დღეობაში ხვარამზე თვალში მოუვიდა, მოეწონა, დაინიშნა, ჯვარი დაიწერა და ახლა ამ ქორწილის ხარჯი წამოიკიდა ზურგზედ. რადგანაც ისაკო გულით იყო მოწადინებული ხვარამზეს ცოლად შერთვას, მაჰანკალს მაჰანკალზედ ჰგზავნიდა, სასიმამროს მოსვენებას არ აძლევდა, ამიტომ გულბაათმაც გამოჯავრებული ცალიერ-ტალიერი გოგო მიახალა თავში. „თუ გინდა ე მაგრე წაიყვანე, თუ არა-და მე ჯერ მაგის გათხოვების ილაჯი არა მაქვსო“. ისაკოს მეტი რა გზა ჰქონდა. სახლის აშენებას, ქორწილის გადახდას ხარჯი უნდოდა. ფული უნდა ევალებინა, განა უნაქსად, უჯიშოდ მოიქცეოდა, ტოლ-ამხანაგებში თავს მოიჭრიდა, ქორწილის ხარჯს შეუშინდებოდა? რა იცოდა, თუ მერე ეს ხარჯი ძმრად წამოუვიდოდა ცხვირიდგან. აი მას აქეთ მოსდევს ისაკო, საკუთრად სთესავს თამბაქოს ორ-ორს დღიურს, რასაკვირველია, სხვისა ფულით წელში ვერ გაიმართა, იმდენი ფიტი ვერ მოიკრა, რომ ვალიც გაესტუმრებინა და ცოლშვილიც რიგიანად ეცხოვრებინა, სანახევროდ სიმშილ-სიტიტვლე თავიდგან აეცილებინა.

აი, წელსაც დაიტანჯა, ცოლშვილსაც ცალიერ მჭადს და მხალ-ჭინჭარზედ ათენ-აღამებინებდა, ოღონდ თამბაქოსათვის დროზედ ხელი დაემთავრებინა, დაეწყო და გაეყიდნა, მაგრამ მამასახლისმა ტატო ქორქაშვილმა ანაზდეულად ამის ოჯახს ძირი გამოუთხარა, მიწასთან გაასწორა, ამის გასინჯულ და ფასში მორიგებულ თამბაქოზედ ხელი აალებინა თავისს ნათლია მექარხნე პარიანცს, რადგანაც ტატოს ისაკოს ჯავრი სჭირდა. ჯერ წინადვე დაემუქრა, როდესაც ისაკომ უარი შეუთვალა შველისა — „ერთი კვირა თამბაქოს დაწყობაში უნდა დაეხმარო ჩემს ბიჭებსაო“... ისაკო თვითონ თავყირაზე ტრიალებდა, თავისი თამბაქო დასაწყობი ჰქონდა და ტატოსათვის ეცალა?!.. მერე სთხოვა, ოთხ თუმანს თუ მომცემ, შენს თამბაქოს ავაღებინებ, ვაყიდვინებ, არა და იქნება სრულიად გასაყიდი დაგრჩესო. ოთხი თუმანი თითონაც არა რჩებოდა ისაკოს, იმისათვის რა უნდა მიეცა. მართლაც ისაკოს თამბაქო გასაყიდი დარჩა. ეხლა ქალაქში უნდა წაიღოს თამბაქო, ეთრიოს, ვინ იცის იქ მაინც ეღირსება დროზედ გაყიდვა თუ არა. ყველა ამ დარდ-ბოროტში ტატომ ჩააგდო ისაკო—მერე რისთვის რის გულისთვის? ოქროსავით ყვითელი, კარჩივით სურნელოვანი თამბაქო ჰქონდეს კაცს და კიდევ ქრთამებიც აძლიოს?.. ფასს მაინც იძლეოდნენ, კიდევ ჰო, მაგრამ დახარჯულ ფულსაც ძლივს ასწორებენ, ქრთამები რომელიღა ეშმაკით აძლიონ.

— „ეხლა სერგო ყელში წამიჭირებს, ფულს ვადა შეუსრულდა. სარგებელი ხო თავნს გადააჭარბებს. ის ოჯახ დასაქცევი, თვეში თუმანზედ ექვს შაურს მაინც სჯერდებოდეს, ჯანი გავარდნოდა, მოდი-და შენ თვეში თუმანზედ ათი შაური აძლიე—ორი სამი თვეც რო დამრჩეს გასაყიდი, სერგოს ვალს ვეღარ ამოუვა ჩემი თამბაქო, დანარჩენებს რიღათ გავცე პასუხი—თავი დასახრჩობადა მაქვს გამხდარი, მაგრამ ამ ჩემს ჯავრს არც ტატოს შევაჭმევ. ამ კვირია იმისი რჩევა იქნება და იმედი მაქვს იმას ლილა გამოვუცვალო“.

მაგრამ, როგორ მოახერხოს ეს, ამის ფიქრშია ისაკო. ამან იცის სოფელში მისებრ გულ-დამწვარი, დათუთქული ბევრია, ყველამ იცის ტატო სოფლის შემჭმელია, დამღუპველი, უწყალოდ ჰყვლეფავს, ატყავებს ხალხს, მაგრამ ბევრნი გაჰბედავენ ეს თავისი გულის მუწუკი გამოამჟღავნონ საქვეყნოდ, მოურიდებლად წინააღუდგნენ ბოროტებას?

„ივერიის“ № 107-ში ნათქვამი იყო, რომ კნ. სალომე გიორგის ასულმა ამირეჯიბმა შესწირა ვერცხლის ბეჭედი სალფეტკებისათვის. ამის გარდა კნ. ამირეჯიბს შეუწირავს თითზედ გასაკეთებელი ვერცხლის ბეჭედიც.

# ახალი ამბავი

*** დღეს, 25 მაისს, დილის 9 საათზედ, აკურთხებენ მეორე კლასიკურ გიმნაზიის ახალს შენობასა და ამ გიმნაზიის ეკკლესიას. პარაკლისსა და წირვას გარდაიხდის საქართველოს ექსარხოსი, მთავარ-ეპისკოპოსი ფლაბიანე. შენობა საუცხოვოა და სწორედ ისეა აგებული, როგორც თანამედროვე სასკოლო ჰიგიენა თხოულობს. შენობას ორთქლით გაათბობენ.

*** უფროსმა სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველმა ჯაბადარმა 22 მაისს შუამდგომლობა აღძრა ქალაქის საბჭოს წინაშე იმის შესახებ, რომ ლაპარაკი აღიძრას სურსათის ჩარჩების საწინააღმდეგო სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის შესახებ.

*** ამ მოკლე ხანში კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭო განიხილავს მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის წინადადებას იმის შესახებ, რომ დაიყვეს ამიერ-კავკასია რამდენსამე ნაწილად სახელმწიფო გლეხთა ადგილ-მამულის მოსაწყობად.

*** მთავარ-მართებლის კანცელარიის გამგზავნელ განყოფილების მიწის მზომელები ამ კვირაში გაემგზავრნენ ამიერ-კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილების გასაძიჯნავად.

*** 22 მაისს ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა შეიძინოს ბ ნ ბუჟყიევისაგან ორბელიანოვის ქუჩის შესახვევში სახლი საკუთრებად 70000 მან., გარდააკეთოს იგი ჯეროვანად, დააგირაოს ბანკში და შიგ გამართოს ქალაქის სამკურნალო, წყლის მილის სახელოსნო, მუშათათვის კანტორა, ქალაქის ლაბორატორია და სხვანი.

*** 26 მაისს ქ. გორში ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილება განიხილავს აზნ. იოსებ ყანჩელის საქმეს, რომელსაც ჰბრალდება თავისის ბიძაშვილის ილია ყანჩელის მოკვლა. ბრალდებულს დაიცავს ნაფ. ვექ. ტურკევიჩი.

*** 23 მაისს ტფილისის ვიცე-გუბერნატორი ს. ს. კ. კ. სტეფანოვიჩი ბორჯომს გაემგზავრა.

*** იმ საზოგადოების წესდება, რომელიც ამ ჟამად არსდება კავკასიის სამოსწავლო ოლქში ბავშვთა აღზრდის დასახმარებლად, როგორც „ახ. მ.“ შეუტყვია, უკვე განუხილავთ და წარუდგენიათ სათანადო მთავრობისათვის.

*** 31 ამა მაისს დანიშნულია საგანგებო კრება იმერეთის სამღვდელოების დეპუტატებისა ქ. ქუთაისში. ამ კრებაზედ სამღვდელოების დეპუტატებს ექმნებათ სჯა საეპარქიო ქალების სასწავლებლის ექვს კლასიანად გარდაკეთების შესახებ. სამღვდელოებამ თუმცა კომიტეტი დანიშნა ზედ-მეტის ფულის ხარჯის დასაფარავად წყაროების გამონახვის შესახებ, ისე რომ სამღვდელოებას ისედაც ძლიერ დატვირთულს სხვა-და-სხვა ხარჯით, არა მიემატოს რაო, მაგრამ, როგორც ვიცით, ჯერ კომიტეტს არავითარი წყარო არ გამოუნახავს.

*** ამ წლის 15 აპრილს უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა მინისტრთა კომიტეტის დადგენილება იმის შესახებ, რომ მიიღოს ხაზინამ თავ. ზ. გ. ერისთვის-მიერ შეწირული „ოძისის“ მამული. მთელის მამულის სივრცე, გარდა გლეხთა ნადელებისა, უდრის 850 დესეტინას, აქედგან ტყიანი ადგილი 385 დეს., საყანე—120 და სანახირო—268 დეს. ეს მამული ვარგა ჯიშიან მცენარეთა გასაშენებლად და, საზოგადოდ, სავსებით აკმაყოფილებს სწავლების მოთხოვნილებას.

*** ამ ჟამად კალია გაჩნდა ტფილისის გუბერნიის ორს მაზრაში: ტფილისისა და ბორჩალოსაში. ტფილისის მაზრაში კალიის კვერცხები აღმოუჩენიათ ს. წყნეთსა და ხატისსოფელში და აგრეთვე ალექსანდერსდორფის ახალშენში. კალიის გასაწყვეტად აღნიშნულს ადგილებში, როგორც ისმის, საგუბერნიო მთავრობას ათასის მანეთის გადადება უთხოვნია.

*** მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ნება დაურთავს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისათვის ააშენოს ალექსანდრეს ბაღში სამიწად-მოქმედო იარაღების საწყობი.

*** როგორც ისმის, ყარსის რკინის გზაზედ ტფილისიდგან ალექსანდროპოლამდე ამ მოკლე ხანში კვირაში ორის მაგივრად სამი მატარებელი დაიწყებს სიარულს.

*** ტფილისის საგუბერნიო გამგეობის სამშენებლო განყოფილებას შეუდგენია პროექტები სატეხნიკო ხარჯთ-აღრიცხვისა ახალ ხის ხიდების ასაშენებლად მდ. მტკვარზედ ს. აწყურში—24,311 მან., ხერთვისში—16,109 მან. და სოფ. მუსხში—12,977 მან.; მდ. ტანაზედ სოფ. ხიდისთავში—10,364 მან., მდ. ჩარებულზედ გორისა და ცხინვალის გზაზედ ს. კარალეთში—1,584 მან., იმავე გზაზედ მეორე ხიდისათვის—2,638 მან. და სურამულაზედ—4,335 მან.

*** ტფილისის ვაჭართა კრება, რომელიც დანიშნული იყო 23 მაისს მომავალ საკომერციო სასწავლებლის სამზრუნველო რჩევის წევრთა ასარჩევად, აღარ მოხდა ვაჭართა კანონიერის რიცხვის დაუსწრებლობის გამო. კრება გადაიდვა 6 ივნისისათვის.

*** „კავკასს“ აუწყებენ, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს განზრახვა აქვს მომავალ წლის დამდეგს გამართოს ელექტრონი ტფილისის რკინის გზის სადგურისა, აგრეთვე რკინის გზის სახელოსნოსა, საწყობისა, საავადმყოფოსა და სხ. გასანათებლად.

*** ზუგდიდი. ექვსი წელიწადი იქნება, რაც სიმინდის ფასი დაეცა, მაგრამ მეაბრეშუმეობას მივჰყავით ხელი და იოლათ მივდიოდით. ეს საქმე თან-და-თან წინ მიდიოდა, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, გამოგვიჩნდა ჩარჩი ვაჭრები, ისევ აქაური მეგრელები, რომელნიც საზოგადოებას არწმუნებენ,—ვინც ყაჭის (აბრეშუმის ჭიის) თესლს ნაღდად ჰყიდის, არ ვარგაო, და ჩვენ მოგცემთ უფასოთო, რადგან იმედი ქვაქვს, კარგი არისო, მაგრამ იმ პირობით, რომ თესლში 15 გირვანქა პარკი მოგვცეთ და დანარჩენი პარკი ჩვენვე მოგვყიდოთო. სხვები ჰყიდდნენ ერთ კოლოფ თესლს ნაღდზე 2 მ. 50 კ. ხალხმა მართლა იფიქრა ეგებ არ ვარგა და იმიტომ ჰყიდიან ნაღდზეო და არ იყიდა იმათგან, მაგრამ ახლა აღმოჩნდა, რომ ყველა თესლი ერთ ნაირი ყოფილა, მხოლოდ ვინც პარკზედ აიღებდა, ისინი ატყუებდნენ ხალხს, როცა არწმუნებდნენ, რომ ჩვენი თესლი კარგი არისო. 2 მ. 50 კაპ. ნაცვლად ისინი ცხრა მანეთს ახდევინებენ ხალხს, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ გირვანქა პარკი ღირს სამი აბაზი.

*** მცხეთა. გუშინ წინ, 23 მაისს, აქ საშინელი წვიმა და სეტყვა მოვიდა. ცა შუადღის შემდეგ შეიღრუბლა, ხოლო საღამოს 7 1/2 საათზედ კოკისპ რული წვიმა დაუშვა, რომელსაც კაკლის ოდენა სეტყვა მოჰყვა. ასეთი ძლიერი სეტყვა კარგა ხანია აღარავის ახსოვს აქეთ. საშინლად დაზიანდა როგორც ვენახები, აგრეთვე ჯეჯილი. სეტყვამ თითქმის ნახევარი საათი გასტანა. დიდმა წვიმამ რკინის გზის ლიანდაგიც დააზიანა და ამ ლიანდაგზედ მთელი ტბები დააყენა, რის გამო ბათუმში მიმავალი და ბათუმიდგან ტფილისში მომავალი სახალხო მატარებლები მცხეთის სადგურზედ მთელი ორი საათი იყო გაჩერებული. სეტყვა ავჭალაშიაც იყო. იქ სეტყვამ, სხვათა შორის, მცირე წლოვან დამნაშავეთა სადგომის ფანჯრები ჩაამტვრია და სხვაფრივადაც ზარალი მიაყენა ამ სადგომს.

*** სოფ. კოდა, (კავკავის მაზრა). აქ ამას წინად სეტყვა იყო. სეტყვის დროს მეხი ჩამოვარდა და დაეცა გზათ მიმავალს ურემში შებმულ ცხენს და ტყვიასავით გახვრიტა. ურემზედ მჯდომნი დედაკაცი და ბიჭი თუმცა დაიბნიდნენ სუნისგან, მაგრამ ჩქარა მოასულიერეს.

*** 20 მაისს ტფილისის რკინის გზის სადგურის მახლობლად ქუჩის დარაჯმა შეიპყრო ტფილისის მცხოვრები ნ. მელქუმოვი, რომელსაც უპოვნეს კლიბეები და სხვა და სხვა გვარი სამჭედლო ნივთები, ღირებული 30 მანეთად. კლიბეები, როგორც აღმოჩნდა, მოეპარა რკინის გზის სახელოსნოდგან და მიეყიდნა მელქუმოვისათვის იმავე სახელოსნოს მსახურს არტელის უფროსის თანაშემწეს კონსტანტინე ჩიბშიკოვს.

---

განა არ იცის ისაკომ, რომ სოფელში ბევრია იუდა, ფლიდი, ძმის გამყიდველი, რომელნიც თავიანთის პირად ანგარიშის, სარგებლობის გულისათვის სულს გაჰყიდიან, ღვიძლ მეგობარს არ დაიხდობენ, ულალატებენ. ეს იციან და ამიტომ შიშით ხმა ვერ ამოუღიათ. თითოეული იმასა ჰფიქრობს, ვაი თუ ისევ ეგ დააყენოხ მამასახლისად, მაშია რაღა გვეშველება, თვალში ამოგვიღებს, ჯიბრის თვალით დაგვადგება, ჯანს გაგვაგდებინებსო. აქაური ბობოლებიც ხომ მაგისი მეგობრები, მაგისაგან დავალებულნი არიან. გზირები ხომ ნიადაგ დღე დადიან სოფელში და სად რასაც ყურს მოჰკრავენ, ტატოსატყობინებენ; თან ის ხმაც დაუგდია სოფელში, „ჩემი ნათლია მექარხნე პარიანცი გაამხანაგებას მპირდება, თუ ისევ არ ამომირჩევთ მამასახლისად, ვაი თქვენი ტყავის ბრალი, ლუკმა პურს გაგიწყვეტავთ, გაგანიოხწყლებთო“. დაშინებულ ხალხსაც სჯერა ეს იმისი ქადილი—„მაგას ყველაფერი გამოუვა ხელიდგან, არც ღვთისა ეშინიან, არც კაცისაო“. აკი დღეს დილითაც ორმოცამდე კაცი იყო შეკრებილი სასოფლო პურის მაღაზიასთან, ყველანი ერთხმად ტატოს ვერაგობასა და მექრთამეობას ჰლაპარაკობდნენ, ნიადაგ წამს ჯიბე გაწეული აქვს და სულ იმას გაიძახის: „მოიტაო, ჩააყარეთ ამ ჩემს გახვრეტილს ჯიბესაო“, მაგრამ შორიდგან თვალი მოჰკრეს თუ არა ტატოს ძმა კოლას, მაშინვე ყველანი გადაბრუნდნენ, შეიცვალეს ლაპარაკის კილო. „ტატოზე გამოსადეგარს კაცს ჩვენ მამასახლისად ვერ დავიყენებთო. ეგ, რომ არა გვყვანდეს მოთავეთ, შუამავლად, აქამდის ყველას თამბაქოები გასასყიდი შინ ეყრებოდაო. აბა ისეთი ვინ ოხერი იქნება, შრომის ფასი არ აიღოსო“. ჩაიარა კოლამ თუ არა, გეგენიანთ საბრალომ გულ-ახდითა სთქვა: „პირს პირიდგანა სცხვენიანო“. „დიდი თავის ხეთქა და ჩიჩინი უნდა ამათ ერთ პირზე დასაყენებლად, მაგრამ, ხურდაანთ პეტრესი არ იყოს, გველი თუ გარედგან არის ჭრელი, ხალხი შიგნიდგან. დღეს თუ შიშისაგან ხმა ვერ ამოუღიათ, ხვალე შეიძლება თვით ტარტაროზს გაუმკლავდნენ. აქ მამაშვილური რჩევა-დარიგება უნდა—ტკბილი ენა ყოვლად შემძლებელია. პეტრეს გარდა, ხმალაძეანთ თედოც უნდა მოვიმხრო, გამჭრიახი, სიტყვის მთქმელი, გავლენიანი კაცია. არა მგონია ამ შემთხვევაში იმან უკან დაიწიოს“...

ამ ფიქრებში იყო გართული ისაკო, რომ საღამო ჟამმაც მოატანა. მძიმედ, ფარულად გადაეკრა დედამიწას ბინდი. მოწმენდილი, ვარსკვლავებით შეჭედილი ცა სიამოვნებით გადმოიყურებოდა მაღლიდგან. ხვარამზემ აანთო კედელზედ ჩამოსაკიდი პატარა ლამპარი და ვახშმის თადარიგს შეუდგა. ტახტზე მხართეძოთი წამოწოლილ ისაკოს ჯერ ვერ მოეშორებინა ნაღვლის მომგვრელი ფიქრები, მაგრამ პატარა ყმაწვილების ჟივილ-ხივილით შემოხვევამ და ცაზე კოხტად ამოცურებულმა მთვარის შუქმა ისაკოს შეჭმუხვნილი შუბლი გაუხსნა, სახეზედ ოდნავმა ღიმილმა გადურბინა.

— მამავ, მამილო, გამოელაპარაკა უფროსი, ხუთის წლის ქალიშვილი ისაკოს, დღეს ფეფე მოგვივარდა და წყევლით ამოგვიღო.—ვინ ფეფეა, რას გემართლებოდათ, ადამიანო, აცქვიტა ისაკომ ყურები.—სახლი და კარი რომ ამოუწყდეს ტატოს. დაგვლუპეს, დაგვაქციეს და ხალხშიაც აღარ გვაყენებენ, დაიწყო გაჯავრებულის კილოთი ხვარამზემ, რომელიც მოუთმენლად მოელოდდა იმ წუთს, აცა როდის იქმნება ქმარს შევატყობინო მოგუბებული ბოღმაო. შავგვრემანი, მაგრამ მოხდენილი პირი-სახე კი ჯავრისაგან ძალზედ გასწითლებოდა.

— რაო, რა მინდაო, შენ რას გედავებოდნენ?!.

— შენი ქმარი დადის სოფელში და ჩემის შვილის წინააღმდეგ ცუდს ხმებს ავრცელებსო.

— კარგი უქნია და სასახელოდა თქო, რატო ერთი ლაზათიანად არ შემიპანჩურე და კუდ-ამოძუებული არ გააგდე.

— ისე უცბად მომივარდა ქორივით, ჩამოგვწყევლა ჩამგვქოლა, რომ გონს ვერც-კი მოვედი. კაპიწი შემეკრა. სხვაც არ იყოს-რა, ქვეყნისა შემრცხვა, თორემ მე ვიცოდი იმ უნამუსო კაწაწებს როგორ გადავაბღვნიდი იმ კალთა წამოხდილ თავზე. მათ ხო არაფრისა არა სცხვენიანთ—„თუ თავის ქერქში არ დადგება შენი ქმარი, ჩვენის მეტი ჭირი არ გინდათო. ბარემ ამ სოფლიდგან აიყარნეთ, ის გირჩევნიათო“.

— ვაი, ნეტავი აქ მომესწრო იმ აკატებულისათვის და მაშინა ნახამდა თავისს თამაშას, რა პასუხითაც მიუვიდოდა შინ თავის სოფლის მუცელში ჩამდებს შვილს ტატოს. აბა ახლა რა ველაპარაკო აქედგან.

დიდხას ლაპარაკობდნენ ცოლ-ქმარნი და ამ ლაპარაკით დარდიანს გულს იქარვებდნენ. ისაკოს, რაც მოუვა მოუვა, თავი გადადებული აქვს—„ამაზე მეტს რაღას მიზამს? ერთი სული და შემრჩენია და თუნდ ესეც ამომაძროს, მე ჩემსას ვეცდებიო“. ხვარამზემ დააწვინა ყმაწვილები, გაშალა პატარა ლურჯი სუფრის ნაგლეჯი, ხონჩიდგან გადმოალაგა გამხმარი, ანაცერ განარევი პურის ნატეხები, თიხის ჯამზედ გაარიგა ხარშოს კერძი და ცოლ-ქმარნი ვახშმის ჭამას შეუდგნენ. სჭამენ პურს, მაგრამ ლუკმა პირში უმწარდებათ. ნაღვლიანი გული ყელში არ უშვებს საჭმელს, თითქოს ლამპარიც თანაუგრძნობდეს ისაკოს ჩაშხამებულს წუთისოფელს, ისე საბრალისად, გულ-ჩიუყებით ეჯუჯება, ცრემლებით ევსება თვალები. მართლაც, უენონიც კი ენას ამოიდგამდნენ ისაკოს გაჭირვებულის მდგომარეობის ხილვით. ცალიერი, გამოღარღატებული ფიცრის სახლი, ორი ხელი ხამისა, გადაუმოსელი ქვეშსაგები, თუნუქის ფეჩი, თაროზედ ორიოდე თიხის ჯამ-ჭურჭელი, კოკა, ზედადგარი, დანჯღრეული კიდობანი, ვარცლი, ტაბაკი და თამბაქოში სამუშაო იარაღი: ნემსები, თოხები, კანაფები. აი ეს იყო ისაკოს ავლა-დიდება. ამას დაუმატეთ სერგოსა და სხვათაგან წვრილ-წვრილად აღებული ვალები, წელს გასასყიდად დარჩენილი თამბაქო და სავსებით გაითვალისწინებთ ისაკოს აწინდელს დუხჭირობას. ამისთანა ხალხისთვის არც ტკბილი პურის ჭამაა და არც მოსვენებული, დაღინჯებული ძილი.....

ე—ლი

(შემდეგი იქნება)

*** ტფილისის გუბერნიაში ამ ჟამად აქა-იქ ყვავილი და სახადი გაჩენილა.

*** 11 მაისს, ქ. დუშეთში სოფ. დიდებაანთ-კარის გზაზედ, სიმთვრალის დროს შინისაკენ მიმავალი გლ. ანდრია დიდებაშვილი ჩავარდა 3 საჟენის სიღრმე ხრამში, მთლად დაიმტვრა და იქვე გარდაიცვალა.

*** 22 მაისის ღამეს პოლიციელმა ბელიმ დააპატიმრა ჭავჭავაძის ქუჩაზედ ერთი კაცი, რომელსაც სამოვარი მიჰქონდა. ეს სამოვარი, როგორც გამოირკვა, მოპარული იყო და ეკუთვნოდა მდივანის სახლის მდგმურს თელავის მცხოვრებელს მარტიროზოვს, ქურდი აღმოჩნდა გორის მაზრის მცხოვრებელი გიორგი მახათაძე. სამოვარი პატრონს დაუბრუნეს, ხოლო დამნაშავე სასამართლოს გარდასცეს.

*** 22 მაისის ღამეს, 12 საათზედ, გოლოვინის პროსპექტზედ მირბოდა ერთი კაცი. პოლიციელი გამოეკიდა, დაიჭირა და პოლიციას წარუდგინა. აქ აღმოჩნდა, რომ ეს უცნობი დავით გიკაშვილი იყო, ქისა ამოეცალა სახელმწიფო თეატრთან ურიადნიკის ცოლის ევდოკია პლუჟნიკოვისათვის ჯიბიდგან. ქისა იმ ალაგას იპოვნეს, სადაც იგი დაჭერილ იქმნა, და შიგ ოთხი მან. აღმოჩნდა ფულად. გიკაშვილი სამართალშია მიცემული.

## რუსეთი

„პეტ. ფურც." სწერს, რომ ამ დღეებში პეტერბურგიდგან პარიჟში გაუგზავნიათ მრავალი კავკასიური ნაბადი, რომელიც ამ ბოლო დროს პარიჟელ ქალთა შორის ძალიან თურმე ვრცელდება. ამ თვის გასულს კიდევ გაიგზავნება ნაბდები. პეტერბურგელი ვაჭრები თურმე ძალიან ძვირად ჰყიდიან მათ.

— როგორც „Рус. Вѣд."-ი იუწყება, ფინანსთა სამინისტროში 20 მაისიდგან დაიწყო საბირჟო კომიტეტისა და პოვოლოჟის ქალაქების წარმომადგენელთა მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ ამ ნაწილის ერთ-ერთ ქალაქში დაარსებულ იქმნას უმაღლესი სატეხნიკო ან საკომერციო სასწავლებელი.

— მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ მთავრობას აზრადა აქვს სატყეო ინსტიტუტი პეტერბურგიდგან პენზაში გადაიტანოს და სატყეოს გარდა სააგრონომო ნაწილიც მიუმატოს. ახლა როგორც გაზეთები იუწყებიან, ამ განზრახვას ახლო მომავალში სისრულეში ვერ მოიყვანს მთავრობა სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო.

— ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტი შეუდგა ახალის პროექტის შემუშავებას სამხატვრო-სამრეწველო ფონდის დაარსების შესახებ იმ ადგილებში, სადაც შინა მრეწველობას მისდევენ. აზრადა აქვთ პირველი ასეთი სკოლა ქ. ეკატერინბურგში დაარსონ.

— „Торг.-Пром. Газ."-ს დეპეშით ატყობინებენ ბაქოდგან, რომ ნავთის-მწარმოებელთა კრების საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა ლუკასოვი, ხოლო წევრებად—ხანგელინი, ტაგიანოსოვი, უხალოვი, ფეიგელი და შუმანერი. როგორც ბეხკერდორფის მოხსენებიდგანა სჩანს, მუშების სადგომები მეტად ცუდ მდგომარეობაშია. კრებამ ამ მოხსენების წაკითხვის შემდეგ დაადგინა სთხოვოს მთავრობას დაუთმოს მას ნავთის ქარხნების მოშორებით საჭირო მიწა 40,000 მუშის სადგომის გასამართავად და აგრეთვე მისცეს სესხად ერთი მილიონი მანეთი ამ საქმისათვის.

## უცხოეთი

საფრანგეთი. დღემდისინ იმ ახალგაზდა ფრანგებს, რომელნიც მუდამ საფრანგეთის გარეშე სცხოვრობენ, მაგრამ ევროპის რომელიმე სხვა სახელმწიფოში, კანონის ძალით სამი წლიწადი უნდა ემსახურნათ სამხედრო უწყებაში. რადგან სხვა ქვეყანაში საზოგადოდ იმიტომ სცხოვრობენ, რომ იქ ან „სავაჭრო საქმეები აქვთ და ან სამრეწველო, და ასეთი კაცების მოცდენა მთელი სამი წლის განმავლობაში ცუდათ მოქმედობს მათს საქმეზედ, საფრანგეთის ძალიან ბევრი ქვეშევრდომნი, როცა 20 წელი უსრულდებათ, ე. ი. იმ დროს, როცა საფრანგეთში უნდა წავიდნენ სამხედრო ბეგრის მოსახდელად, იმ სახელმწიფოს ქვეშევრდომობას ღებულობენ, რომელშიაც სცხოვრობენ და საქმეები აქვთ. გაზეთ „Figaro"-ს სიტყვით, ამ რიგად ბევრს ფრანგს მიუღია რუსეთისა, ნორვეგიისა, შვეციისა და სხვათა ქვეშევრდომობა. ასეთის მოვლენის თავიდგან ასაშორებლად მინისტრად ნამყოფს დეპუტატ ჟიულ როშს წინადადება წარუდგენია პარლამენტისათვის, რომ გამოიცეს კანონმდებლობა, რომლითაც უცხოეთში მცხოვრებ საფრანგეთის ქვეშევრდომთ ნება მიეცეთ მხოლოდ ერთი წლიწადი იმსახურონ ჯარში. თავისის წინადადების დასასაბუთებლად როშს მოჰყავს მოსაზრებანი იმავე აზრის შესახებ საფრანგეთის სავაჭრო პალატებისა: მილანსა, ჟენევასა, რომსა, მადრიდსა, ბრიუსელსა, ლონდონს, კონსტანტინეპოლსა და სხვ. გაზეთები დარწმუნებულნი არიან, რომ პალატა სამხედრო კომისია უთუოდ მიიღებს როშის წინადადებას და ეცდება პალატასაც შეაწყნარებინოს.

—

იტალია. დღეებში ახალი სამინისტრო წარსდგა პალატის წინაშე. პალატის დარბაზი სავსე იყო დეპუტატებით. ვიცე-პრეზიდენტმა ჭალბერტიმ წაიკითხა პალატის პრეზიდენტის ცანარდელის წერილი, რომლითაც ის აცნობებდა პალატას, რომ რადგან უკანასკნელმა სამინისტრო კრიზისმა ახალი პოლიტიკური მდგომარეობა წარმოშობა, ამიტომ იძულებული ვარ თანამდებობას თავი დავანებოო. პალატამ ერთხმად დაადგინა, ნუ შეგვიწყნარებთ ცანარდელის თხოვნასო. ამის შემდეგ მინისტრ-პრეზიდენტმა პელუმ განაცხადა, რომ ახალი კაბინეტი უკვე შევადგინეო. იმან ჩამოსთვალა პროექტები, რომლებიც მთავრობამ უნდა წარუდგინოს პალატას განსახილველად, და ამასთანავე დასძინა, რომ საჭიროა ბიუჯეტი ჩქარა იქმნას განხილული და დამტკიცებულიო. რაც შეეხება იტალიის საქმეს ჩინეთში—განაგრძო მთავარ-მინისტრმა,—მთავრობას უფლება აქვს განაახლოს იმის შესახებ მოლაპარაკება, რომელიც ძალით შეწყვეტილ იქმნა სამინისტრო კრიზისის გამოო. ამ საქმეში, პელუს სიტყვით, მთავრობა ისეთს გზას დაადგება, რომ საჭიროა არ დარჩეს არც მატერიალური და არც სამხედრო მსხვერპლი, რადგან იტალიას ჩინეთში მხოლოდ ალებ-მიცემობის გავრცელება სურს და სხვა არაფერი. ამის გამოო,—სთხოვა პელუმ პალატას,—ამ საგნის შესახებ კამათს ნუ ასტეხთ ეხლაო. ამის შემდეგ კრებამ შესწყვიტა ცოტას ხნით და პელუ სენატში წავიდა, რათა იმისთვისაც ეცნობებინა ახალი კაბინეტის პროგრამა. კრების განახლებისთანავე ვიცე-პრეზიდენტმა წაიკითხა ცანარდელის წერილი, რომელშიაც ის ამბობს, რომ უთუოდ უნდა დავანებო თანამდებობას თავიო. ცოტაოდენ კამათის შემდეგ, პალატამ მიიღო პელუს წინადადება ახალი თავმჯდომარის ასარჩევად განსაკუთრებულ კრების დანიშვნის შესახებ.

## დამაკვირდი

განგებასა რაც სწადიან,
კაცზედ ყველა შეუძლია.
როსტომიანი

***

სჯობს ბრძენი უშვილო სულელსა და სულელთ შვილთ მყოლსა.
წმ. გრიგოლ.

***

მოწიწებით და კრძალულად თავს მკლე მამულსა შენსა, ვინაითგან მან დაგიცვა ტკბილნი გარდმოცემანი მამა-პაპათა და მანვე აღაგზნო გულსა შინა შენსა ცეცხლი სიყვარულისა.
ლასურიძე

### ჟურნალ-გაზეთებიდგან
(ამოკრებილი ამბები)

ამ ბოლოს დროს პარიჟელ ქალებს შორის დუელი ძალიან გახშირდა. სხვათა შორის ამ დღეებში ერთ მომღერალ ქალს დუელში გამოუწვევია მწერალი ქალი ბერნაბონე. ბერნაბონეს რომანი დაუწერია, რომლის უმთავრესი გმირი — არტისტი-ქალი ცუდ ადამიანად გამოუყვანია. ამ რომანის დაბეჭდვის მესამე დღეს ბერნაბონეს სეკუნდანტები მისვლია მომღერალ ქალისაგან, რომელიც დუელში იწვევდა მას. მიზეზი ის არისო, გამოუცხადეს სეკუნდანტებმა ბერნაბონეს, რომ თქვენის რომანის უმთავრეს გმირად ის მომღერალი ქალი გამოგიყვანიათო. ბერნაბონე არწმუნებდა თურმე სეკუნდანტებს, სრულებითაც არა მქონია მხედველობაში თქვენი მომღერალი ქალიო, მაგრამ იმისი სიტყვა არ დაუჯერიათ. ბოლოს, რომ ვერაფერი გაუწყვია, დათანხმებულა და დროც დაუნიშნავთ დუელისათვის. გაზეთები ეხლა სწერენ, რომ ამ დუელს ორივე მოწინააღმდეგესათვის კარგი შედეგი ექმნებაო: პირველს რომანები გაეყიდება, ხოლო მომღერალ ქალის სიმღერის მოსმენას ყველა მოისურვებსო.

***

ამ ჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში, განსაკუთრებით კალიფორნიაში, ბევრს ლაპარაკობენ ერთ ქალის, სახელდობრ ვინმე ლუკკუდაძის შესახებ. ეს პატივცემული მანდილოსანი ჯერ სულ ახალგაზდაა, ოცის წლისა, მაგრამ იმდენად მოხერხებული და ურცხვი ყოფილა, რომ ამას წინად მეჩვიდმეტეჯერ გათხოვილა. არც ერთ ქმართან სამ-ოთხ თვეზედ მეტი არ უცხოვრია თურმე. განქორწინება ამერიკაში კანონის ძალით ადვილია და ეს მოხერხებული ქალიც სარგებლობს ამ კანონით! ამბობენ, ლუკკუდძამ ეხლავე გადასწყვიტა, მეჩვიდმეტე ქმარს ორის თვის შემდეგ გაჰქორწინდესო...

***

პარიჟში გაუმართავთ ერთი ახალი, მეტად უცნაური რესტორანი, რომელსაც სახელად „ჯოჯოხეთის რესტორანი" ჰქვიან. ჯერ შესავალივე ისეა მოწყობილი და მორთული, რომ კაცი უხეშურ შიშს იგრძნობს: კარები გვირაბის მაგვარია, საიდგანაც ცეცხლის ალი გამოდის. შიგნით, დარბაზში ხომ კაცს თმა ყალხზედ აუდგება. ყველა კუთხიდგან უცნაური სახეები გამოიჭყიტება; ჭერში უზარმაზარი გველები იხლაკნება, ოთახში რქებიანი და კუდიანი ეშმაკები და ქაჯები დარბიან. ლაქიებს წითელი ტრიკოები აცვიათ. იმათაც რქები და კუდები ამშვენებენ. ხანდახან კედელი იხსნება და კაცის თვალ წინ ახალი სურათი ჩნდება: გავარვარებულ ცეცხლზედ ტარტაროზი და იმის თანაშემწენი ცოცხალ კაცსა სწვავენ.

### გამოსადეგი ცნობა

უმაწვილების ბანება დილა-საღამოობით ცივს წყალში კარგი საშუალებაა და ბავშვებს ინგლისურ სენისაგან იცავს.

### წერილი რედაქციის მიმართ.

—

თქვენი გაზეთის „ივერიის" 103 ნომერში იყო დაბეჭდილი გორიდგან ერთი წერილი, რომელიც ეხება გორის მაზრის მემამულეთა ამხანაგობას. რადგან ამ წერილის ზოგიერთი ცნობები და მოაზრებანი სინამდვილეს არიან მოკლებულნი და ამ მხრით შეიძლება ჯერეთ ნორჩს და ახლად დაწყობილ ამხანაგობის საქმეებს ხელი შეუშალოს, ამის გამო გთხოვთ ჭეშმარიტების აღსადგენად მისცეთ თქვენ გაზეთში ადგილი ამ ჩემ პასუხსაც.

იმ წერილის ავტორი იწყებს იქიდგან, რომ 28 მარტს ქ. გორში იყო გორის მემამულეთა ამხანაგობის წევრთა წლიური კრება და რომ ამ კრებამ დაგვიმტკიცა საზოგადოების გულ-გრილობა, რადგან 155 წევრში, ძლივს კრებაზედ დაესწრო 25 წევრიო, დანარჩენი სულ ვექილობები იყო წარმოდგენილიო, კრებაზედ კი უნდა დაესწროს არა-ნაკლებ მესამედი ყველა წევრებისაო. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ ახლანდელ ამხანაგობის მდგომარეობას ბლომად ჰყავს მოწინააღმდეგენიო. ზოგი მსხვილი მემამულე ჰყიდის თავის ჭირნახულს კერძო პირებზედ და არა ამხანაგობის საწყობში, რადგან ამხანაგობა, მის მაგიერ, რომ ის ფასები მისცეს, როგორც კერძო ვაჭრები აძლევენ, უფრო მათზედ ნაკლებ ფასებს იძლევაო. ბოლოს წერილის ავტორი აბრალებს ამხანაგობას ქართველურ დაუდევრობას, რომლის წყალობითაც მას დაუკარგავს დიდი მოგებაო. მაგალითად, მოჰყავს, ვითომც თ. კ. მ. ამირეჯიბს მიუღია ნობელის წარმომადგენელისაგან წერილი, რომლითაც სთხოვს ამირეჯიბს უშოვოს მას გორის მაზრაში 60 ათასი ფუთი ქერი და ჩააბაროს ბაქოში 95 კაპეიკათ. თ. ამირეჯიბს მიუმართავს გომის განყოფილების ზედამხედველისათვის და უთხოვნია მისთვის წერილით შეეტყობინებინა შეუძლიან თუ არა ამ ფასად ჩააბაროს ქერი და ან რამდენი ფუთი, მაგრამ ზედამხედველს პასუხი არ მიუცია თ. ამირეჯიბისათვის და ეს ამოდენა ნაღდი მოგება ხელიდგან გამოსცლია ამხანაგობას. თუ ამ გვარად მოიქცევა ამხანაგობა, რაღა მოგება უნდა ნახოს მომავალშიო და სხ.

რასაკვირველია, ვინც ამ წერილს წაიკითხავს, ვერაფერს სასიამოვნო აზრს შეადგენს გორის მაზრის მემამულეთა ამხანაგობაზედ და ამით, ცხადია, გული მოეფხანებათ მხოლოდ ამხანაგობის მტრებთ და იმათ, ვინც ყოველ ჩვენ საზოგადო და სასარგებლო დაწესებულებათ და საქმეებს, მარტო თავის პირადი ინტერესით უცქერის და დევიზათა აქვს „თუ მე არ ვიქნები, ქვა-ქვაზედაც ნუ ყოფილაო".

ახლა გადავშინჯოთ და დავუკვირდეთ, რამდენად მართალია ზემო მოყვანილ წერილში გორის მემამულეთა ამხანაგობაზედ ის დასკვნა, რომელსაც ისე თამამად და გაბედვით ბძანებს წერილის ავტორი.

მისის აზრით გულ-გრილობა ამხანაგობისა იმითი გამოიხატა, რომ 155 წევრში, რომელთაგანაც წესდების ძალით მესამედი მაინც უნდა დასწრებოდა კრებაზედ, ძლივს 25 კაცი გამოცხადდაო. დანარჩენი სულ ვექილობები იყო წარმოდგენილიო. მაშასადამე იმისი სიტყვით გამოდის, რომ კრება უკანონო ყოფილა, რადგან თუ 25 კაცის მეტი არ იყო და, ვთქვათ, ყველას თითო ვექილობა ჰქონდა (წესდების ძალით მეტი არ შეიძლება), მაინც 50 ხმა 155 მესამედს ვერ შეადგენდა. აბა ვნახოთ რაოდენად ეს მართალია. წესდების ძალით კრება კანონიერია მაშინ, როდესაც მესამედი იმ წევრებისა, რომელთაც სრული პაი აქვთ შემოტანილი, დაესწრება იმ კრებაზედ. მართალია, დღეს 155 წევრი ითვლება ამხანაგობაში, მაგრამ მომეტებულ ნაწილს მათგანს არა აქვთ შემოტანილი სრული პაი. კრების დღეს, 28 მარტს, ითვლებოდა სრულ წევრებად 84 კაცი, მაშასადამე კანონიერ კრებისათვის საკმაო იყო 28 ხმა და ის ექვსი თუ შვიდი ვექილობაც რომ ჩავთვალოთ, რომელიც წარმოდგენილი იყო, კანონიერზედ მეტი ხმა იყო.

მაშ, მიკვირს და გამკვირვებია, რათ სურდა ამ მხრით თქვენ კორესპონდენტს, რომელმაც მხოლოდ ორი თვის შემდეგ კრებისა ხმა ამოიღო, ამხანაგობისათვის ესაყვედურებინა? მართალია, ამ კრებაზედ ცოტა ნაკლები ხალხი დაესწრო, მაგრამ ვინც კი თვალ-ყურს ადევნებს ჩვენ საზოგადო კრებებს, არ შეიძლება არ შეამჩნიოს, რომ, სამწუხაროდ, მხოლოდ არჩევნებში ჯამაგირიან ადგილებისათვის იკრიბება უფრო მეტი ხალხი. სხვა-და-სხვა საგნების განსახილველად და წლიური ანგარიშის დასამტკიცებლად კი ბევრი არ იწუხებს თავსა, ნამეტნავად მაშინ, როდესაც წევრები სხვა-და-სხვა ადგილებიდგან არიან მოსასვლელნი, როგორც 28 მარტს იყო. მაგრამ მაინც იმოდენა წევრი დაესწრო, რომ პირველშივე შესდგა კრება და გადადება არ დასჭირდა, როგორც ხშირად სხვა-და-სხვა საზოგადოებაში მოხდება ხოლმე. აქ უნდა ისიც დავუმატოთ, რომ 28 მარტსვე დაიწყო ჩვენ სათავად-აზნაურო ბანკში წარმომადგენლების არჩევანები, რამაც შეაბრკოლა ზოგიერთი მსურველნი ჩვენ კრებაზედ დასწრებისა. მაშ თუ ასეა, რათ დასჭირდა თქვენ დაგვიანებულ კორესპონდენტს ამხანაგობის ამგვარი საყვედური?

მეორე მიზეზად გულ-გრილობისა იმასა სთვლის, რომ ზოგიერთი მსხვილი მემამულე თავის ჭირნახულს ჰყიდის კერძო პირებზედ და არა ამხანაგობის საწყობში, რადგან ამხანაგობა უფრო ნაკლებ ფასებში ყიდულობს ჭირნახულს, ვიდრე კერძო ვაჭრებიო და ეს დიდი დაუდევრობა და შეცდომა არისო. ამაზედ აი რა უნდა ვუპასუხო: ვიდრემდე ჩვენი ამხანაგობა დაარსდებოდა, მთელი გორის მაზრის ჭირნახულები ჩარჩ-ვაჭრების ხელში იყო და როგორც უნდოდათ ისეთ ფასებს არქმევდნენ და ყიდულობდნენ. ზოგჯერ ისეთ ფასებს აძლევდნენ, რომ მემამულეთ თითონ თავიანთი ნაწარმოები ერთ ნახევრად უფრო მეტი უჯდებოდათ იმ ფასზედ, რა ფასადაც მათგან ჩარჩები ყიდულობდნენ. შემდეგ, ამხანაგობა რომ დაარსდა და ჩამოაგდო ბაზრის მაზანდა და ამ მაზანდაზედ რამდენიმე კაპეიკით ნაკლებ დაიწყო ჭირნახულის ყიდვა ფუთობით, მაშინ ძველი ჩარჩ-ვაჭრები დაღონდნენ, რადგან ლუკმა პირიდგან ეცლებოდათ, ყურები ჩამოჰყარეს და ბოლოს გაიფიქრეს ამხანაგობის დაცემა. მათ ერთბაშად ასწიეს ჭირნახულის ფასები იმ განზრახვით, რომ ამხანაგობასაც აეწია და ამ გზით შეიძლება დიდად დავაზარალოთო და იქმნება კიდეც დაჰკეტონო, რადგან იმათ დიდი თანხა არა აქვთო და რაკი ჩვენი ამხანაგობა დაიკეტებოდა, მაშინ იმათ იცოდნენ, როგორ უნდა მოქცეოდნენ ჩვენს მემამულეთა.

ჯერ, პირველში ჩვენმა ამხანაგობამაც ასწია ფასები, მაგრამ, რაკი ნახა, რომ მოგებით ვერ გაყიდდა, ცოტა უკან დაიწია და სიფრთხილით დაუწყო ჭირნახულს ყიდვა. მართალია, სამწუხაროდ, აღმოჩნდნენ ზოგიერთნი მემამულენი, რომელთაც რამდენიმე კაპეიკი არჩიეს გარეშე ვაჭრებისა და დაუწყეს მიყიდვა, მაგრამ მომეტებული ნაწილი უფრო ამხანაგობის საშუალებით ჰყიდდა თავის ჭირნახულს. სამწუხაროდ უფრო ის უნდა ჩაითვალოს, რომ ის პირნი, რომელთაგანაც ამხანაგობა უფრო მეტ თანაგრძნობასა და დახმარებას მოელოდა, რამდენიმე კაპეიკის ინტერესით სტოვებდა განზედ ამხანაგობას და ცალკე ვაჭრებს უმართავდა ხელს. ეს მოვლენა, რასაკვირველია, სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს ჩვენი საზოგადოებისათვის, მაგრამ განა მარტო გორის მემამულეთა ამხანაგობაშია საზოგადოებისაგან ღალატი? ამას, ჩვენდა საუბედუროდ, ვხედავთ

ყოველ ჩვენ საზოგადო საქმეში და, მაშასადამე, მარტო ჩვენი ამხანაგობა არ არის ამ უბედურებაში. ჩვენი ნუგეში და იმედი იმაზედ არის დამყარებული, რომ ამ გვარნი პირნი უფრო ნაკლებნი არიან ჩვენში და იმ უმრავლეს ამხანაგობის თანამგრძნობ პირებთან, იმედია, შემდეგში ვერას გახდებიან.

ყველაზედ უმეტესი ბრალი, რომელსაც კორესპონდენტი სდებს ჩვენს ამხანაგობას, არის დაუდევრობა და ამის მაგალითი, როგორც ზევით მოგახსენეთ, ის მოჰყავს, რომ ვითომც თავად კ. მ. ამირეჯიბს მიუღია ნობელის წარმომადგენელისაგან სამოცი ათასი ფუთი ქერის დაბარება 95 კაპეიკად. თავ. ამირეჯიბსაც მიუმართავს გამის განყოფილების ზედამხედველისათვის და იმისგან არაფერი პასუხი არ მიუღია და ამ გვარად დიდი მოგება დაჰკარგვია ამხანაგობას.

ჩემის აზრით, ეს უფრო მოგონებაა, ვიდრე ნამდვილი ფაქტი. აი რისთვის: თავ. კ. მ. ამირეჯიბი ზედამხედველი კომიტეტის წევრი ბრძანდება, რომელმაც ძალიან კარგად იცის ჩვენი ამხანაგობის საქმეები და ამასთან ისიც კარგად უნდა იცოდეს, რა დროს რამდენი ჰირნახული გვაქვს და, მაშასადამე, რა ფასად რამდენი შეგვიძლიანთ გავყიდოთ. მე ვგონებ, — იმას რომ მართლა ამ გვარი შეკვეთა მოსვლოდა წერილით ნობელის ანუ იმის წარმომადგენელისაგან, ეჭვს გარეშე უნდა იყოს, რომ ის როგორც ზედამხედველ კომიტეტის წევრი და კეთილის მსურველი ამხანაგობისა, ან მე, როგორც დირექტორ-გამგეებელს, ან გამგეობის თავმჯდომარეს თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითოვს მოგვმართავდა მყისვე შეკვედგიბა ამ საგანზედ გამგეობის სხდომა და პასუხი მიგვეცა ნობელისათვის. მე ვგონებ, რაკი თავ. ამირეჯიბის წერილით ესეთი წინადადება მოუვიდა, მოვალე იყო, ვიმეორებ, როგორც ზედამხედველი კომიტეტის წევრი, გაკვრით კი არ ეთქვა გამის ზედამხედველისათვის, სხდომა მოეხდინა და ეს დიდი საქმე ხელიდგან არ გაგვეშვა, მაგრამ როგორც ზევით შევნიშნე, ეს ამბავი უეჭველად ტყუილ-უბრალო ლიტონის სიტყვერიდგან არის შედგენილი და საფუძველი არა აქვს რა, თორემ ეს საქმე, თუ მართლა ნობელის წინადადებით იყო, ჩემს, ანუ გამგეობის ყურადღებამდინ მოახწევდა და უეჭველად გზას მივცემდით, რადგან ჩვენი მიზანიც ის არის, რაც მალ მალე გადავაბრუნებთ თანხის ფულს, იმდენი მოგება და სარგებლობა ექმნება ჩვეხს ამხანაგობას.

ეხლა ვკითხავ კორესპონდენტს, თუ მართლა ესე უნდა ყოფილიყო, როგორც მე ვამბობ, რა ინტერესი ჰქონდა, ორის თვის შემდეგ, ფაქტების შეუმოწმებლად, წესდების შეუსწავლელად ასეთი კიცხვა და ბრალი დასდოს იმ დაწესებულებას, რომელიც ეხლა იდგამს ფეხსა და რომელსაც ესაჭიროება საზოგადოების თანაგრძნობა? ნუ თუ გამგეობა, თუნდა რაიმე შეცდომაც მოუვიდეს, რადგან ეს დიდი რთული საქმეა და შეცდომა ადვილია ამ გვარ საქმეებში, უნდა საქვეყნოდ, ბეჭდვით გაიკიცხოს და სათავეშივე მოუსპოთ საზოგადოების თანაგრძნობა? ის ხომ ყველა განათლებულმა კაცმა იცის, რომ ამ გვარ ამხანაგობაზედ არის დამყარებული ჩვენი ეკონომიური გაუმჯობესება და, მაშასადამე, დიდის სიფრთხილით უნდა იბეჭდებოდეს ამ გვარ საზოგადოებაზედ ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში ისეთი ამბები, რომელიც სინამდვილეს არის მოკლებული, რადგან ამ გვარ ხმებს და ამბებს შეუძლიანთ არამც თუ შეაფერხონ, სათავეშივე ჩაფუშონ ის საქმე, რომელიც ღირსია ყოველი ჩვენი ნამდვილი მამულიშვილის თანაგრძნობისა.

გორის მემამულეთა ამხანაგობის დირექტორ-გამგებელი თავ. ვასილ გიორგის ძე მაჩაბელი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 მაისი

**მადრიდი.** მთავრობამ განაცხადა, რომ კაროლინის, პალაოსისა და მარიანის კუნძულები დასთმო 25 მილ. პეზეტად. ისპანიას რჩება სამი ნახშირის საწყობი: თითოეულს კუნძულზედ თითო, რომელიც გერმანიამ უნდა დაიცვას მშვიდობიანობისა და ომის დროს.

**პარიჟი.** საკასაციო პალატამ დაადგინა: გადასინჯულ იქმნას დრეიფუსის საქმე და გადაეცეს დრეიფუსი სამხედრო სასამართლოს რენაში.

**კრეზო.** ყველა მუშები დღეს მუშაობას დაუბრუნდნენ უწესოების მოუხდენლად.

**ვენა.** იოჰან შტრაუსი გარდაიცვალა.

**კონსტანტინეპოლი.** ოსმალეთის დელეგატებს სამშვიდობო კონფერენციაზედ დაევალათ აღნიშნონ, რომ სახელმწიფოს სიდიდე, ვრცელი, ზოგან ღია საზღვრები, უსწორ-მასწორო ნაპირები, მცხოვრებთა სხვა-დასხვაობა და საზღვრების დაუცველობა ზოგიერთს შორეულს პროვინციებში ნებას არ აძლევენ ოსმალეთს შეამციროს ჯარი, ანუ უარ-ჰყოს თვის მიერ ამ რამდენისამე წლის წინად შემუშავებული, მაგრამ ჯერ კიდევ არა სრულიად შესრულებული გეგმა სამხედრო საქმეთა მოწყობისა. ამიტომ ოსმალეთისათვის არ შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს მცხოვრებთა რაოდენობაზედ ანუ სხვა გვარს მოსაზრებაზედ დამყარებულს რაოდენობას ჯარისას მშვიდობიანობისა და ომის დროს. ოსმალეთს ასულდგმულებს საუკეთესო სამშვიდობო განზრახვები, რადგან მტკიცე მშვიდობიანობა ყველაზედ უფრო შეესაბამება და ხელს შეუწყობს მისს კულტურულს განვითარებას და ნივთიერს ინტერესებს, — მაგრამ ის იძულებულია თავდაპირველად იზრუნოს თავი დაიცვას შიგნით და გარედ, ყოველთვის იყოლიოს საკმარისი ჯარი, რომლის რაოდენობა ვერ განისაზღვრება სხვა სახელმწიფოებთან შედარებით.

23 მაისი.

**პარიჟი.** საკასაციო პალატის განაჩენს საზოგადოება მიეგება ამ სიტყვებით: „გაუმარჯოს მართლ-მსაჯულებას, გაუმარჯოს კანონს!“ და დაიშალა წყნარად. სასამართლოს გარედ ყვირილი არ დაუწყიათ.

**პარიჟი.** სასამართლომ გააუქმა და მოსპო 1894 წ. 22 დეკემბრის განაჩენი, რომელიც დაადგინა ალფერდ დრეიფუსის წინააღმდეგ პარიჟის სამხედრო ოლქის მმართველმა სამხედრო სასამართლომ, და გადასცა ბრალდებული რენის სამხედრო სასამართლოს, რომელიც დაინიშნა საგანგებოდ შემდეგის საგნის განსახილველად: დამნაშავეა თუ არა დრეიფუსი, რომ 1894 წ. მას კავშირი ჰქონდა უცხო სახელმწიფოსთან ან მის აგენტებთან, რათა აღეძრა ეს სახელმწიფო საფრანგეთთან სამტროდ და საომრად, ან მიეცა მისთვის საშვალება ასეთის საქმის ჩასადენად.

**პარიჟი.** „ჰავასიის სააგენტო“ იუწყება, რომ დიუპუიმ ხვალ დილისათვის მოიწვია სასჯულო, სამხედრო, საზღვაო და საახალშენო მინისტრები იმ საშუალებათა შესახებ მოსალაპარაკებლად, რომლების მიღებაც საჭიროა დრეიფუსის საფრანგეთში დაბრუნების გამო.

**ჰააგა.** დღეს მოხდა სარედაქციო კომისიის საყურადღებო სხდომა შუამდგომლობის შესახებ. რუსეთის პროექტის მე 7—12 მუხლები განხილულ იქმნა თითქმის შეუცვლელად. ეს მუხლები შეეხება საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს. ამერიკელთ არა ჰსურთ მიიღონ მე 10 მუხლი, რომლის ძალით ფულისა და არხების შესახები საქმეები უთუოდ სამედიატორო სასამართლომ უნდა განიხილოს. ოთხშაბათს კომისია შეუდგება მე 13 მუხლის განხილვას, რომლის მიხედვით უნდა დაარსებულ იქმნა სამედიატორო ტრიბუნალი. რუსეთისა, ინგლისისა და ამერიკის პროექტები შეერთებულ იქნება ერთ ახალ პროექტად. აშკარა ჰხდება, რომ სამუდამო სამედიატორო სასამართლოს დაარსება საერთო სურვილს შეადგენს.

24 მაისი

**პარიჟი.** დღეს დიუპუიმ, იუსტიციის, სამხედრო, საზღვაო და ახალშენთა მინისტრებმა დაადგინეს, გემი „Jtax“-სი გაგზავნილ იქმნას ეხლავე დრეიფუსის მოსაყვანად. დრეიფუსი მოყვანილ უნდა იქმნეს 14 ივნისისათვის.

**პეტერბურგი.** მთავრობის უწყებაში დაბეჭდილია: 20 თებერვალს ხელმწიფე იმპერატორმა უბრძანა გენერალ-ადიუტანტს ვანოვსკის გამოიძიოს 8 თებერვალს პეტერბურგის უნივერსიტეტსა და შემდეგ სხვა სასწავლებლებ მი მომხდარ არეულობის მიზეზნი და გარემოებანი. გენერალ-ადიუტანტის უქვეშევრდომილეს მოხსენების განხილვის დროს ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და თავისი გაკვირვება და უკმაყოფილება განაცხადა იმის გამო, რომ შესაძლებელი იყო ასეთის უწესოების მოხდენა იმპერიის ყველა უმაღლეს სასწავლებელში და ამ უწესოების განგრძობა მთელის სამის თვის განმავლობაში. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ბრძანა:

1, გამოეცხადოს საყვედური უმაღლეს სასწავლებლების მთავრობასა და მასწავლებელთ იმის გამო, რომ საკმაო ავტორიტეტი ვერ მოიპოვეს მოსწავლეთა შორის, და საჭირო გავლენა ვერ იქონიეს მათზედ და უწესოების დაწყებისავე ვერ განუმარტეს მოსწავლე ახალთაობას, მისი უფლებანი და საზღვრები ამ უფლებათა.

2. პეტერბურგის პოლიციის მოხელეთ, რომელნიც აღნიშნულ არიან გენერალ-ადიუტანტის ვანოვსკის გამოძიებაში, უნდა გამოეცხადოს საყვედური იმის გამო, რომ მათ წინდაწინვე შესაფერი განკარგულება ვერ მოახდინეს 8 თებერვლისათვის დასაცველად.

3. რა შეცდომაც უნდა მოსვლოდა სასწავლებლების მთავრობას, მაინც ეს გარემოება ბოლოს არა ჰხდის სტუდენტთ და ყურის-მგდებელთ, რომელთაც დაივიწყეს მორჩილება და წეს-რიგის დაცვა. არავინ მათგანი არ უნდა სთვლიდეს თავს თავისუფალს იმ შრომისა და სწავლა ცოდნის შეძენის ვალდებულებისაგან, რომელიც საჭიროა სამშობლოსა და საზოგადოების სამსახურისათვის. ისინი პირველნი დამცველნი უნდა იყვნენ იმ წეს-რიგისა, ურომლისოდაც შეუძლებელია როგორც სწავლა, ისევე აღზრდა. ამ წესიერების დაცვასთან მჭიდროდ დაკავშირებულია პატიოსნება და სახელი სასწავლებლისა და თვითეულ იმის წევრისა. ამიტომ მოსწავლენი უმაღლესს სასწავლებლისანი, ვალდებულნი არიან, თავიანთვე სასარგებლოდ, ეხლავე დაემორჩილნენ იმ წესს, რომელიც მათთვის დადებულია და დაუბრუნდნენ სასწავლებლებს სწავლისა და შრომის განსაგრძობად.

მისი უდიდებულესობა დარწმუნებულია, რომ ახალგაზრდათა მშობელნი და უფროსნი ვალდებულად ჩასთვლიან თავს, განუმარტონ ხალგაზრდებს რა საზარალოა, როგორც მათთვის, აგრეთვე საზოგადოებრივ მშვიდობიანობისათვის, მოუფიქრებელი გატაცება და არეულობა.

საუბედუროდ არეულობის დროს ადგილობრივმა საზოგადოებამ არამც თუ მთავრობის მოხელეთ მხარი არ დაუჭირა და წესიერების დაცვაში არ დაეხმარა, არამედ ბევრს შემთხვევაში თვით უწყობდა ხელს უწესრიგებას, და აქეზებდა ახალგაზრდობას.

ასეთის უწესოების მოთმენა შემდეგში შეუძლებელია. იგი სასტიკის ზომებით იქმნება ყოველთვის მოსპობილი.

რაც შეეხება იმ სტუდენტებს და ყურის მგდებლებს, რომელთაც მხოლოდ მონაწილეობა მიიღეს არეულობაში და ისეთ საქმეში კი არ ყოფილან შემჩნეული, რომელსაც პოლიტიკური მიზანი აქვს, მათი დასჯა, რამდენადაც-კი შეიძლება შეღავათით, დამოკიდებული იქმნება იმ მინისტრებისაგან, რომელთაც სასწავლებლები ექვემდებარებიან.

**მოსკოვი.** სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე მოროზოვის ქარხანაში მომხდარ უწესოების შესახებ. გაამართლა 37 კაცი; დანარჩენთ მიუსაჯა: 11—2 უფლებისა და უპირატესობის ჩამორთმევა და ტუსალთა განყოფილებაში დაპატიმრება; 41—1 საპყრობილეში დაპატიმრება $1\frac{1}{2}$ თვიდგან 1 წლამდე.


## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ბროშიურა რუსულ ენაზედ:

НОВАЯ ПОСТАНОВКА ПЕДАГОГИЧЕСКАГО ДѢЛА ВЪ УЧЕБНЫХЪ ЗАВЕДЕНIЯХЪ

თხზ. ი. ვ. როსტომაშვილისა, ფასი 20 კაპ.

წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 30%, თუ დაიბარებენ არა ნაკლებ 5 ცალს.

მაგზავნილი ჩვენ გვეგზავნება. ადრესი: ტფილისი, ვაკე, ვაჟ-

ისტომაშვილს.

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

ჰიგიენური

ბორნო-ტიმოლის საპონი

გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელსა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილსუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში აღმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივენკოთან, ძმ. პოპოვებთან და არისტაკოვთან. (24—მ.—11

სოფელ კასპში, რკინის გზის სადგურთან ახლო ისყიდება ანუ ქირავდება საზაფხულოდ

ოთხი ოთახი

ავეჯით და ორხოებით მოწყობილი, წინ ეზოთი და მიწით, ზომით ერთ დესეტინამდის. ფასის შესატყობად მიმართეთ მელქო კუთხაშვილს (კასპში, ამილახვარის სახლში).

წლიური საერთო კრება

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრთა დანიშნულია 2.. მაისს, საღამოს 7-ს საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო დარბაზ განსახილველად შემდეგის საგნები

1, წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1898 წლისა.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შემოწმების შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შესავალ-გასავლისა 189. წლისათვის.

4, მოხსენება განსვენებულის ალ. როინაშვილის ხაანდერძევის შესახებ.

5, არჩევანი საზოგადოების ახალი წევრებისა.

6, არჩევანი გამგეობის ერთი წევრისა და სამის კანდიდატისა. (6—4)

ქ. ქუთაისში

ახლად გაიხსნა

ღვინის საწყობი

ი. გოკიელოვის შვილებისა

ფ ა ს ე ბ ი:

| | | | ბოთლი უჭურჭლოთ | ფუთი მ. |
|---|---|---|---|---|
| № 10 | ღვინო | სვიოისა | 15 კ. | 2 |
| 9 | „ | „ | 18 „ | 2 |
| 8 | „ | „ | 20 „ | 3 |
| 8 | „ | კახური | 20 „ | 3 |
| 7 | „ | „ | 25 „ | 4 |
| 6 | „ | „ | 30 „ | 4 |
| 5 | „ | „ | 40 „ | 6 |
| 4 | „ | „ | 50 „ | 7 |
| 3 | „ | „ | 60 „ | 9 |
| 2 | „ | „ | 80 „ | |
| 1 | | | 1 მან. | 1 |
| ყიფიანებისა | | | 30 კ. | |

(1—52—6)


Дозволено цензурою, Тифлисъ 24-го Мая 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე